ო ქ მ ი N13

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი **2025 წლის 23 ოქტომბერი**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 22 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 19 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის თბილისის ქუჩისთვის ტარიელ გელანტიას სახელის მინიჭების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გიმოზგონჯილში არსებული N1 ქუჩისთვის ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0,

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის თბილისის ქუჩისთვის ტარიელ გელანტიას სახელის მინიჭების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ბ. მამაცაშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის თბილისის ქუჩისთვის ტარიელ გელანტიას სახელის მინიჭების თაობაზე“ და კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა ხობის მუნიციპალიტეტის მერის წერილი, გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის ერთობლივი განცხადების თანდართვით ტარიელ გელანტიას სახელის უკვდავყოფის მიზნით, მისი სახელის გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული თბილისის ქუჩისთვის მინიჭების თაობაზე. აღნიშნულ საკითხზე კომისიის მიერ ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, სადაც გამოკითხულთა სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სახელდების საკითხს. გამომდინარე იქედან, რომ ტ. გელანტიას გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი, კომისიის მხრიდან მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული თბილისის ქუჩისთვის ტარიელ გელანტიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“. რის შემდეგაც საკითხი გადაეგზავნა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას, საიდანაც მიღებული თანხმობის საფუძველზე საკრებულოს სხდომაზე განსახილველად კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის თბილისის ქუჩისთვის ტარიელ გელანტიას სახელის მინიჭების თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0,

სხდომას არ ესწრებოდნენ: (ვ. ფოცხორაია, ნ. ბოკუჩავა, ფ. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N16 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გიმოზგონჯილში არსებული N1 ქუჩისთვის ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური უფროსი)

მოისმინეს: გ. ჩაბალუხა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის თბილისის ქუჩისთვის ტარიელ გელანტიას სახელის მინიჭების თაობაზე“ და კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა მერის წერილი, რომელსაც თან ერთვის საინიციატივო ჯგუფის, სპორტული საზოგადოებისა და ქვემო ქვალონის მოსახლეობის განცხადება ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გიმოზგონჯილში არსებული N1 ქუჩისთვის ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავას სახელის მინიჭების თაობაზე. განცხადებაში ნათქვამია, რომ ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავა 2013 წელს 18 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა. ნ. ლემონჯავა სწავლობდა სოფ. ქვემო ქვალონის N1 საჯარო სკოლაში. პედაგოგიური კოლექტივი და კლასელები მას ახასიათებდნენ დადებითად, იყო მეგობრული, ინიციატივიანი, შრომისმოყვარე და პერსპექტიული ფეხბურთელი, ამავდროულად სწავლობდა ხობის საფეხბურთო სკოლაში. აღნიშნულ საკითხზე კომისიის მიერ ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, სადაც გამოკითხულთა სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სახელდების საკითხს. გამომდინარე იქედან, რომ ნ. ლემონჯავას გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი,

მერიის მხრიდან წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გიმოზგონჯილში არსებული N1 ქუჩისთვის ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარეს (ბ. მამაცაშვილი) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0,

სხდომას არ ესწრებოდნენ: (ვ. ფოცხორაია, ნ. ბოკუჩავა, ფ. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N17 ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დღეს იყო მე-5 მოწვევის საკრებულოს ბოლო სხდომა და კიდევ ერთხელ მიულოცა საკრებულოს ახალარჩეულ წევრებს მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრობა, ახალ არჩეულ მერს დავით ბუკიას მეორედ არჩევა და წარმატებები უსურვა მათ საქმიანობაში. ასევე მადლობა გადაუხადა ქართული ოცნების გუნდს და აღნიშნა, რომ ის რჩებოდა გუნდის წევრად და გააგრძელებდა საქმიანობას ექიმის ამპულაში. დასასრულს, ყველას მადლობა გადაუხადა ყველა იმ მოქალაქეებს თუ აიპის თანამშრომლებს, ვისაც მცირეოდენი წვლილი მიუძღოდა ხობის მუნიციპალიტეტის განვითარებაში. წარმატებები უსურვა ახალარჩეულ საკრებულოს და ნაყოფიერი მუშაობა უსურვა შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდგომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2025 წლის 23 ოქტომბრის სხდომაზე

დამსწრე საკრებულოს წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ბექა მამაცაშვილი
5. მედეა თათარიშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ლევანი ლიპარტია
8. დოდო გაბუნია
9. აკაკი მალანია
10. დრიდონი კუკავა
11. ბესიკი თამლიანი
12. ჯანსუღი ჯიშკარიანი
13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა გერგაია
15. აკაკი ხურცილავა
16. სერგო ბერაია
17. გიორგი გვასალია
18. გივი ლატარია
19. ფრიდონი შონია